6 (18) მაისი. 1866. № 10. პირველი წელიწადი.

გაზეთის ფასი:

| მაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | მაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | 7 მან. | 6 მან. |
| 10-ის თვისა | 6 — | 5 — |
| ნახევრის წლისა | 4 — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | 2 — 50 კ. | 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ა. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

---

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება. უმაღლესი უკაზი მართებლის სენატისადმი.-კავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლების მთავარი — ინსპეკტორისგან.-შემწეობისთვის მოწოდება. — სასახლის ამბავი. — რუსეთი. — პოლიტიკა: ფრანცია. — მოკლე განხილვა მმართებლობის სხვა და სხვა ფორმისა. ფელეტონი: რამდენიმე ალაგი მოთხრობიდგან. „მართა“ სახაზინო და კერძოობითი განცხადება. ბიბლიოგრაფიული ცნობა.

---

### მმართებლობის განკარგულება.

უმაღლესი უკაზი, მიცემული მმართებელის სენატისადმი.

ოთხს ამ აპრილს ყოვლად-სახიერის განგების ნებით, დაცულ-იქმნა ჩვენი სიცოცხლე ხელითა ოსიფ კომმისაროვისათა, რომელიც არის დროებით-ვალდებული გლეხი კოსტრომის გუბერნიისა, ბუისკის უეზდისა, მოლვიტინის ვოლოსტისა, სოფლის მოლვიტინისა და არის მცხოვრები იმ ადგილისა, რომელმაც ოდესმე რუსეთს მიანიჭა განთქმული ჩვენის მამულის წელთ-აღწერაში ივანე სუსანინი.

ამ შემთხვევის სახსოვრად და შესამოწმებლად ჩვენის მადლობისა კომმისაროვისადმი, ყოვლად-უმოწყალესად გვიბოძებია იმისთვის შთამომავლობით რუსეთის იმპერიის აზნაურობა, — და ჩვენი ბრძანება არის, რომ იმას სახელ-ედვას კომმისაროვი — კოსტრომსკი.

მმართებელი სენატი ვალდებულია, რომ მოახდინოს ჯეროვანი განკარგულება შემზადებისათვის დიპლომისა კომმისაროვის — კოსტრომსკის აზნაურობის ღირსებაზედ და ამ დიპლომის ჩვენთან მორთმევისათვის ხელის მოსაწერად.

ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის დიდებულების საკუთარის ხელით მოწერილია:

ალექსანდრე.

ს-პეტერბურგი.

9-ს აპრილს, 1866 წელს.

---

კავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლების მთავარი-ინსპეკტორი გამოაცხადებს, რომ, თანახმად წესდებულებისა, რომელიც 1849 წელს 11 ივნისს დამტკიცდა კავკასიის მხარის მოსწავლეების სახელმწიფო ხარჯზედ აღზრდისათვის იმპერიის უმაღლესს სასწავლებლებში, დანიშნულია ეგზამენი ტფილისის კლასსიკურს გიმნაზიაში 10 დამ 20 ივნისამდე და სტავროპოლის გიმნაზიაში 1-დამ 10 ივნისამდე გამოსაცდელათ იმ მოსწავლეებისა, რომელნიც კანდიდატებათ არიან შერიცხულნი ზემოხსენებულს სასწავლებლებში; ამისთვის მშობლები, ნათესავები ანუ ამ კანდიდატების აპეკუნები ვალდებულნი არიან ისინი დროით წარმოადგინონ ერთს რომელსამე ზემოხსენებულს გიმნაზიაში გამოსაცდელათ.

ამ წელში კავკასიის სტიპენდიატებისთვის ვაკანსიები არის გახსნილი ქვემოხსენებულს მაღალს სასწავლებლებში.

1) მოსკოვის უნივერსიტეტში არის 12 ვაკანსია; რომელნიც საუნივერსიტეტოთ ემზადებიან, იმათ სრული გიმნაზიის კურსი უნდა ჰქონდეთ გათავებული და ხნით 17 წელზედ ნაკლებისა არ უნდა იყვნენ.

2) სამადნო ინჟენერების (горныхъ инженеровъ) კორპუსის ინსტიტუტში არის 3 ვაკანსია.

3) პეტროვსკის სამეურნეო აკადემიაში (земледѣльческая академія) არის 15. როდესაც ამ სასწავლებელის წესდება მიიღება, მაშინ ისიც გამოცხადდება, თუ რა წესით მიიღებიან მოსწავლეები ამ სასწავლებელში.

4) გზების სამუშაო სასწავლებელში (строительное училище путей сообщенія) არის 6 ვაკ. რომელნიც ამ სასწავლებელში შესასვლელათ ემზადებიან, იმათ გიმნაზია უნდა ჰქონდეთ გათავებული და ხნით 16 წელზედ ნაკლებისა არ უნდა იყვნენ.

5) კონსტანტინეს მეჟევის ინსტიტუტში — 6. შემსვლელნი უნდა იყვნენ 12 — 19 წლამდე.

6) აღმოსავლეთის ენების ლაზარევის ინსტიტუში — 2. აქ მიიღება ყმაწვილები 10 — 15 წლამდე.

7) ს.პეტერბურგის საკომერციო სასწავლებელში — 1. შემსვლელი უნდა იყოს 10 — 12 წლამდე.

8) ალისაზდელის სახლის სახელოსნო სასწავლებელში — 1. აქ მიიღება ყმაწვილები 11 — 15 წლამდე.

9) მებაღეობის უმთავრესს სასწავლებელში — 1. აქ მიიღება ყოველ-წლოვანების მოწაფეები.

---

### შემწეობისთვის მოწოდება.

დასავლეთს საქართველოში, ქ. ქუთაისს განსვენებულმა ქუთაისის ღენერალ-გუბერნატორმა კნ. გაგარინმა დაიწყო შესაბამი ქვითკირის სობორო და მხოლოდ ნახევრამდის მოასწრო აშენება. მას აქეთ ეს ათი წელიწადი გადის, რომ საშუალოების უქონლობის გამო სობორო რჩება გაუთავებელი. კათოლიკებს, სომხებს, ებრაელებსაც აქვთ შესაფერი და მდიდარი სალოცავი; მართლ-მადიდებელნი მცხოვრებნი, რუსნი და ქართველნი კი ერთად-ერთს პატარა ქალაქის ეკკლესიაში უნდა მოგროვდნენ და ვიწროებაში მოისმენენ ხოლმე წირვასა; ამისთვის ისინი ევედრებიან მართლ-მადიდებელთ, რომ ამ ტაძრის გათავებაში შეეწიონ. ვისაც სურს რისამე შემწეობის აღმოჩენა, იმას შეუძლიან თავისი შემწეობა გაგზავნოს ქუთაისს, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზედ.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ.

---

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ხელმწიფე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე 1-ს ამ მაისს ტფილისიდამ გაბძანდა ერევნის გუბერნიის განსახილველად.

---

### რუსეთი.

ცნობა დამნაშავეზედ, რომელმაც ხელმწიფე იმპერატორის სიკვდილი დააპირა. რუსულს ინვალიდში, № 93-ში, სწერენ: ჩვენ ამის წინათ უჩვენეთ გრაფის მიხეილ ნიკოლაევიჩის მურავიოვის დანიშვნა თავ-მჯდომელად კამისიისა, რომელიც დაწესებულია პეტერბურგში უმაღლესის ბრძანებით დანაშაულობის გამო ხელმწიფე იმპერატორის სიცოცხლის წინააღმდეგ. ახლა ამ კამისიის მეცადინეობით დამნაშავეს ვინაობა სრულებით შეტყობილია. თუმცა ის არა ტყდებოდა, თუმცა ყოველს კითხვაზედ ნამდვილს

---

### რამდენიმე ალაგი ეოთხრობიდგან „მართა“.

ბოლოს ძლივს დაბრუნდა მილიციიდამ გიორგი, უმცროსი ძმა გვარის ბაიყუშებისა.

გიორგი იყო კარგი მოყვანილი და კარგის შეხედულობის ვაჟკაცი, იყო ძალიან ხელძრიელი და მაგარი ხასიათის კაცი. ჯარში ჰქონდა დიდი ვაჟკაცობის ხმა და იყო თითონ შუახნამდის მიხწეული უცოლო კაცი.

ყველა მებატონეები მოელოდნენ ამისგან დიდს ამბებსა თავის ბიძაშვილს ფარემუზთანა, რადგან გაეგონათ ამის ვაჟკაცობა და ისიც იცოდნენ, რომ ფარემუზისთვის იყო აქ მოსული. ყველა მოუთმენელათ ელოდა ამის ფარემუზთან შეჯახებასა და სულ განაბულნი ყურს უგდებდნენ, თუ საიდამ დაიწყებდა საქმესა.

გიორგი რომ დაბრუნდა შინა ზაფხული იყო, — მკის დრო მოტანებული.

გიორგის თავისი ყმები თუმცა სიხარულით მიეგებნენ და გაიშალნენ პატარა წელშია, რადგან იმედი მიეცათ რომ ეს ცოტა ფრთებს ჩააშლევინებდა ფარემუზსა და იმის გლეხებს, რომლებისგანაც სულთა-დგმა აღარა ჰქონდათ ამათა; მაგრამ თავის ძმის კაცები კი ნახა რომ მეტათ გაიალაღებულნი იყვნენ და მოუჭირა ამათა. პატარას ხანს ესენი უძალიუვდებოდნენ ამასაცა, მაგრამ, რაკი ნახეს რომ იმათი ბატონისებური კაცი არ იყო, მალე მოიკაკვნენ წელშია. ფარემუზის კაცები კი როგორღაც უბღვეროდნენ ამასა და ყოველს შემთხვევაში ცდილობდნენ ეწყენინებინათ რამე, ან შარი მოედოთ, რომ ერთი ეჩვენებინათ თავისი და თავის ბატონის ძალა. მაგრამ არც ამათ გამოადგათ თავის ბიჭობა: მინამ ისინი მოიფიქრებდნენ რასმე გიორგი კიდეც ეძგერებოდა და იდებდა ქვეშა. თუ გაბედავდა ვინმე შველასა ის მოისვამდა ხელს ან დამბაჩას-ან ხანჯალსა და მაშინ მეტი რაღა ილაჯი იყო, უნდა მორიდებოდნენ. ასე დაიფორიაქა გიორგიმ ფარემუზის ყმები, რომ ველარავინ იმათში ველარა ჰბედავდა ამასთან ხელდახელობასა, მეტადრე მას აქეთ, რაც ამან სცემა სამთა ძმათ ჩხიკვაძეთ, რომელნიც ყველაზედ განთქმულები იყვნენ მთელს სოფელში თავის სიავკაცით და რომელნიც დიდი დამუქარებულნი იყვნენ გიორგიზედა.

გიორგი იარაღს, თუ არ გაჭირებაში, არას დროს არა ხმარობდა: „ეგ ქალაჩუნა კაცის საქმეა“ — იტყოდა ხოლმე ის; მაგრამ გაჭირვებაში კი, როდესაც დაატყობდა, რომ მეტი ღონე აღარ იყო, კაცს სასიკვდილოთ არ დაზოგავდა. თუმცა გიორგი არავის არას უთმობდა და კაცის სიკვდილი და ცემა ხუთ გროშათ არ მიაჩნდა; მაგრამ თვითონ კი არას დროს უბრალოთ კაცს არ აწყენინებდა და თუ ატყობდა, რომ სადმე სიმართლე ჰქონდა, იქ თავის ცოცხალის თავით არავის რას დაუთმობდა. საჩივლელათ ხომ, თუმცა ქართველი კაცი იყო და თავის მამისშვილი, მაგრამ კაცი ნუ იფიქრებდა, რომ ის სადმე ან ვისთანმე წასულიყო. „მე იქამდინ არ გავიჭირვებ საქმესა, რომ უჩივლო ვისმე, — ამბობდა ხოლმე გიორგი:-დეე ისევ მე მიჩივლონ“ და ეს კიდეც ასრულებდა თავის სიტყვებსა: სადაცა ჰხედავდა თავის სიმართლესა, იქ მაშინვე მიმართავდა ძალასა, და თუ გაჭირდებოდა ორი კაცის სამართალს ჰჯეროდა, თუმცა ამასაც ძვირათ.

გიორგიმ რაკი პატარა ანგელოზები დაუფთხო ფარემუზის კაცებსა და თავის ძმის კაცებიც კარგა დაბღუნძა, მაშინ ერთს მშვენიერს დღეს დაიბარა თავისსა და თავის ძმის კაცებს ქუდზედ კაცი სამკალათ და წაიყვანა ერთს საუკეთესო ხოდაბუნში, რომელიც ფარემუზს წაერთმია ამისა და ამის ძმებისათვის და ეთესა ყანა.

ეს ამბავი, როგორც ელვა გავარდა არამცთუ სოფელს ტაპლაძიანთ კარში და მთელს გარშემო მახლობლებს სოფლებშიაცა. ყველა მოუთმენელათ ელოდა თუ რითი გათავდებოდა საქმე. მებატონეები, ბატონები და ქალბატონები გადაწყვეტით კიდეც ლაპარაკობდნენ ვინც აჯობებდა; ბატონები ამბობდნენ: ფარემუზი აჯობებსო, ქალბატონები — გიორგიო!

— იმას ფარემუზთან სად შეუძლიან! — იძახოდნენ გაცხარებული ბატონები.

— არა, თქვენმა მზემ! გიორგი აჯობებს. გიორგი ჯარში ნამყოფი კაცია, სისხლის ჯვრებით გული სავსე აქვს, და აბა თქვენს ფარემუზს რა აქვს?! — იძახოდნენ ქალები.

— მაწ, — არა! ფარემუზისთანა როგორ იქნება! იმისი კაცები ძალიან დაგეშილები არიან... მერე უფროსობაც იმისაკენ არის. ყველა უფროსს ისე ელაპარაკება პირდაპირ, როგორც მე შენა, და აბა გიორგის სად შეუძლიან ეგეები!

— რა იცი რომ გიორგისაც არ შეუძლიან? ის უფრო ჯარის სამსახურის კაცი არ არის!

ეს ამგვარი ლაპარაკი და ბაასი ისმოდა ყველგან ორშაფათ დილით, მკათათვის სამს რიცხვსა, როდესაც გიორგიმ შეუშვა მუშა ფარემუზის მოყვანილს ყანაში.

მთელი სოფელი ტაბლაძიანთ-კარი სულ არეულობაში იყო. ფარემუზის კაცები, ვისაც კი ეწვნია გიორგის სუსხი და ახსოვდა კიდევ ესა, მიიმალ მოიმალნენ. სხვა სოფლიდამ კი მოაწყდა მრავალი ხალხი ამ ხოდაბუნის გარშემო სეირის საყურებლათ და მიიმალნენ ქალებში, რომ მაჩხუბრებს არ დაენახათ და მოწმათ არ დაესწროთ საჩივარშია...

შუშანა გაფითრებული სიბრაზისგანა სულ თმებს იწეწდა და აჩქარებდა ბიჭებსა, რომ მალე შეეკრიბათ გლეხები გიორგისთან საჩხუბრათ გასაგზავნათა. ბიჭები დარბოდნენ

პასუხს არ აძლევდა, მაგრამ კამისიამ აღმოაჩინა, რომ დამნაშავე არის სარატოვის გუბერნიიდამ, სახელი და გვარი აქვს დიმიტრი ვლადიმირის ძე კარაკოზოვი. იმის მამას ჰქონია მცირე ადგილ-მამული სერდობის უეზდში, სარატოვის გუბერნიაში. თვით დამნაშავე ყოფილა თავის-უფალ მსმენელად მოსკოვის უნივერსიტეტში და იმის მოსკოვის ყოფნაში, როგორათაც ზოგიერთს იმისს ამხანაგებს უჩვენებია, მელანხოლიაში და იპოხონდრიაში თურმე ჩავარდებოდა ხოლმე და ერთ თვეზედ მომატებული დრო ის იწვა მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკაში, სადაც სწამლობდნენ იქაური დოკტორები. იმავე ამხანაგების შემოწმებით იმისი ავათმყოფური მდგომარეობა იქამდისინ თურმე მიაღწევდა, რომ იმან წიგნი მისწერა ერთს ამხანაგს, რომელსაც ბანგი სთხოვა, რომ თავისის თავის წვალება და თვით სიცოცხლეც მოეკვეთა. ყოველსავე ამაზედ ვრცელი ცნობა იკრიბება. წლევანდელს წელს კარაკოზოვი ორჯელ იყო პეტერბურგში: ერთხელ მოვიდა თებერვალში, მეორეთ აღდგომას. იმისი ნაცნობები და ნათესავები ამბობენ, ვითომც ის ყოველთვის ჩიოდა სიცოცხლის სიმწარეზედ და ადამიანები სძულდა. ამასთანავე კარაკოზოვი ავრცელებდა უკიდურესის სოციალიზმის აზრებს. პეტერბურგში ის მალავდა თავისს ნამდვილს სახელწოდებას და იმის სნეულობას სწამლობდნენ რომელნიმე იქაურნი დოკტორები.

გამოძიება არის სასტიკი დამნაშავეს მონაწილეების აღმოჩენაზედ და აგრეთვე იმათს კავშირზედ ბოროტ-მავნებელს საზოგადოებასთან, რომელიც ცდილობს დამყარებულის სახელმწიფო წესის დამხობასა.

—მოსკოვის ვედომოსტებში სხვათა შორის ვკითხულობთ: „გუშინ აქ (მოსკოვში) შეუწყვეტელი სახალხო დღესასწაულობა იყო. დროებით-ვალდებულებმა გლეხებმა, რომელნიც მოსკოვში სცხოვრებენ, ისურვეს, რომ ხელმწიფე იმპერატორს მიართვან ხატი მაცხოვრისა ეკკლის გვირგვინით. ეს უნდა ყოფილიყო მსგავსი იმ ხატისა, რომლის თაყვანის-საცემლად მიდიოდა 4-ს აპრილს ო. ი. კომისაროვი. 10-ს აპრილს ეს ხატი რამდენმამე დეპუტატმა გლეხების მხრით მოასვენა ჩუდოვის მონასტერში. სამღთო ლიტურგია აქ სწირა მოჟაის ეპისკოპოზმა საბამ, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის და სხვა წარჩინებულის პირების დასწრებით. ამავე დღეს დილიდგან ადრე დაწყობილი ხალხმა იწყო დენა კრემლს და წითელს მეიდანზედ: ხალხი ისე გამრავლდა, რომ პოლიციის განკარგულებით ეკიპაჟებს არ უშვებდნენ თვით კრემლში. ამოდენა ხალხის გროვაში უწესოება არც ერთხელ არ მომხდარა. ყველანი, დიდნი და მცირენი, მშვიდობიანათ იდგნენ და პარაკლისს ელოდნენ. ლიტურგიის შემდეგ წითელს მეიდანზედ იყო პარაკლისი: აქ ესვენა თვით ის ხატი, რომელიც იმავე დეპუტატებმა მოასვენეს. წინ მოჰქონდათ დროშები. პარაკლისი გადაიხადა ყოვლად-სამღვდელომ საბამ, ღენერალ-გუბერნატორის იქ-ყოფნაში; იქვე იყვნენ სხვანი უმაღლესნი მმართებლობის პირნი. ხელმწიფე იმპერატორის და სახელმწიფო სახლის მრავალ-ჟამიერის დროს ხალხმა იგრიალა ხმა-მაღლივ „ურა“, რომელმაც კრემლიდამ წითელს მეიდანზედ გადაირბინა. პარაკლისის შემდეგ დეპუტატებმა, დროშების წინ-წაყოლით, წაასვენეს ხატი ღენერალ-გუბერნატორის სახლში გასაგზავნად ხელმწიფე იმპერატორთან. ამ პროცესსიას გაჰყვა ხალხი ქუდ-მოხდით, რომელმაც გაიარა სპასსკის და ვოსკრესენსკის ალაყაფის-კარები, ტვერის ქუჩაზედ. ურას გრიალი არ შეწყვეტილა; ქუდის-სროლა იყო ხშირი პროცესსიის დროს. ხატი მიიღო დეპუტატების ხელიდამ კნიაზმა ვ. ა. დოლგორუკოვმა ხელმწიფე იმპერატორთან გასაგზავნათ ყოვლად-უქვეშევრდომესის წერილით დროებით-ვალდებულების გლეხებისაგან.

ეს დღე იყო კვირა. წითელს მეიდანზედ და კრემლში შეიყარა 40 ათასს ხალხამდე და მხოლოდ ნაკლები ნაწილი გაჰყვა პროცესსიას. დანაშთენი ყრილობა დარჩა წითელს მეიდანზედ. აქ მინინის და პოჟარსკის ძეგლზედ, იმის ფიგურების შუა, აღმართეს ხელმწიფე იმპერატორის სურათი. იმის ქვემო მიკრული იყო დაბეჭდილი სურათი ო. ი. კომისაროვისა, 4 აპრილის შემთხვევის მოკლეს აღწერით. როგორც გუშინდელს მწუხრს, ზოგიერთმა ვაჭრებმა დაპატიჟეს ხალხი. მოიტანეს ბოჩკა ღვინო დიდის წარწერით მაღალს ხეზედ: „ხელმწიფის სადღეგრძელოდ“. ხალხმა ცხენები გამოუშვა, ჩაავლო ხელი ოგლობლებს და ბოჩკა ატარა მეიდანზედ. უყიდეს აგრეთვე ხალხს კარავი ხილით, რომელიც იმავე წამს ჩაინთქა: ტილო, აგრეთვე ხის ნაჭრები წაიღეს სახსოვრად. საღამოს ძეგლი იყო გაჩირაღდანებული და ვინცკი მუზიკანტები შეყარეს, უკრავდნენ სახალხო სიმღერას. ღამე კარგა განს ხალხი არ დაშლილა.

ამავე დღეს მოსკოვის უნივერსიტეტის მთელმა სტუდენტობამ აღმოიჩინა პატრიოტული ხასიათი. დაიწყეს კანცერტი ღარიბის სტუდენტების სასარგებლოდ. მოჰყვნენ სიმღერას სახალხო გიმნისას: ღმერთო, დაიცე ხელმწიფე! (Боже, царя храни!). მთელმა ზალამ, სადაც სტუდენტობა იყო შეყრილი, გრიალი ხმა მოსცა გიმნსა, რომელიც მრავალჯერ გაიმეორეს.—კონცერტის გათავების შემდეგ ყველანი ივერიის ხატისკენ გაემგზავრნენ; სიმღერა გზაზედ არ შეწყვეტილა; ხალხი ქუდებს იხდიდა და მრავალი გაჰყვა. ივერიის ღვთის-მშობელი კარში გამოასვენეს და აქ სტუდენტებმა პარაკლისი გადიხადეს. გალობდნენ თვით სტუდენტები; ამის შემდეგ იმათ ჰიმართეს სასახლეს. ხალხი სპასკის ალაყაფის კარებთან მრავალი შეგროვდა. სტუდენტებმა დაიწყეს: უფალო, დაიცე ერი შენი, რომელიც ამ შემთხვევას ეფერებოდა. აქედგან კრემლისკენ გაემგზავრნენ. აქ ისტორიულს მეიდანზედ ისეთი ენტუზიაზმი იყო, რომ მრავალს ცრემლი სდიოდა. ხალხიდამ მოისმა: „ურა სტუდენტებო!“ პასუხათ იყო: „ურა, კომისაროვებო!“ შეჰყვირეს სტუდენტებმა. სტუდენტები დაბრუნდნენ უნივერსიტეტში მრავალ-ძალის ხალხის თან-გაყოლით. აქ უნდოდათ იმათ მოესმინათ ყოვლად-უქვეშევრდომესი მილოცვა ტელეგრაფით გაგზავნილი ხელმწიფე იმპერატორთან მოსკოვის უნივერსიტეტისაგან და მისის დიდებულების პასუხი. უნივერსიტეტის რეკტორი მოვიდა და უთხრა სტუდენტებს, რომ ხელმწიფესთან გაგზავნილი უნივერსიტეტის პროფესორების და სტუდენტების სახელით მილოცვა კეთილმიდრეკილებით იყოო მიღებული თაყვანის-ცემულის მონარხისაგან. სტუდენტებმა ზალიდან გამოიტანეს ხელმწიფე იმპერატორის სურათი და იმის წინ იმღერეს: ღმერთო, დაიცე ხელმწიფე! ამ გვარათვე სტუდენტები წავიდნენ ღენერალ-გუბერნატორის სახლში. კნიაზი დოლგორუკოვი გამოვიდა, მადლობა უთხრა იმათ და დაარწმუნა, რომ ყოველსავე ამ შემთხვევას მისს დიდებულებას წარუდგენო.

—როგორც გაზეთს Голосъ-ში სწერენ, 7 აპრილს, საიმპერატორო ეკონომიურის საზოგადოების ყრილობაში პრეზიდენტმა წინადადება მისცა ადრესის გაგზავნაზედ ხელმწიფე იმპერატორთან, რომელშიაც უნდა იყოს გამოცხადებული გულწრფელი სიხარული მისის დიდებულების დაცვისათვის განსაცდელისაგან. ადრესშივე უნდა იყოს გამოცხადებული თხოვნა სამუდამო სტიპენდიის-300 მან.-დაწესების ნება-რთვაზედ, რომ სწავლა მიეცეს ხოლმე ერთს იმ ვოლოტის მცხოვრებთაგანს, რომელსაც ეკუთნოდა ო. ი. კომისაროვი. ყრილობამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს ადრესი და იმისი ხელის-მოწერა მიანდო საზოგადოების რჩევის წევრებს.

—Сѣверная Почта ში, № 78-ში, სწერენ: მედიკო-ხირურგიის აკადემიის მასწავლებლებმა, ჩინოვნიკებმა და სტუდენტებმა ხელმწიფე იმპერატორის სიცოცხლის დაცვის სახსოვრად 9 აპრილს დასდვეს საერთოდ, რომ ო. ი. კომისაროვის სამშობლოში, სოფელს მოლვიტინში, დაწესდეს სამკურნალო სახლი, რომელსაც უნდა ეწოდოს „ალექსანდროვსკი.“ ამ განზრახვით ხელის მოწერაც მოახდინეს და დაწყებაშივე შეკრიბეს 3,300 მ.

—იმავე დროს აკადემიის სტუდენტებმა ისურვეს, რომ სტუდენტებში მოხდეს ხელის-მოწერა სტიპენდიის დასაწესებლად მედიკო-ხირურგიის აკადემიაში; იმას უნდა ერქვას კომისაროვის სტიპენდია, რომელიც უნდა ეძლიოს ღარიბს აკადემიის სტუდენტს; ეს სტუდენტი უნდა იყოს გლეხთაგანი, განსაკუთრებით კოსტრომის გუბერნიიდგან.

—იქვე სწერენ:-მოსკოვში მცხოვრებთ სომხებმა შეადგინეს თავიანთ შუა ხელის მოწერა ისე, რომ შემდგარის სარგებლით დაწესდეს სტიპენდები ალექსანდრეს სახელზედ. რამდენისამე საათის განმავლობაში შეგროვდა 6,000 მ. ხელის მოწერა ჯერაც არ შეჩერებულა.

იმავე გაზეთის № 80 ში სწერია, ს-პეტერბურგის უნივერსიტეტი, 4 აპრილის სახსოვრად, აწესებს შკოლას ო. ი. კომისაროვის სამშობლოში, კოსტრომის გუბერნიის, ბუისკის უეზდის, ს. მოლვიტინში; ამ გვარის ვე განძრახვით მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები 11 აპრილს შეუდგნენ ხელის-მოწერას კაპიტალისას, რომ ამ კაპიტალის სარგებლით მოლვიტინის შკოლის უკეთესი მოსწავლე გლეხის შვილი იზდებოდეს ხოლმე გიმნაზიაში და მოსკოვის უნივერსიტეტში.

## პოლიტიკა.

### ფრანცია.

ჩვიდმეტმა წევრმა რომ ადრესის გასწორება შეიტანა სჯულის-დამდებს კრებაში,

---

გაცხარებულნი და ერეკებოდნენ თავის ბატონის გლეხკაცებს სამუშაოდამა. შეიყარნენ ბლომათ სულ კეტიანი გლეხკაცები და სულ იმ გვარი ხალხი, რომელთაც სჭირდათ საშინელი ჯავრი გიორგისა. შუშანა აჩქარებდა, რომ მალე წასულიყვნენ დაჰპირდებოდა დანარჩენი ხალხის მიშველებასაცა. „სულ შენი ბრალია ეგა!-ეუბნებოდა ის თავის ქმარსა:—რახანია გეუბნებოდი: ნუ აქეზებ! ან დააჭერინე ეგ რაზბონიკი, ან ერთი კარგა აცემინე მეთქი, და შენ ყურს არ მიგდებდი... აბა ნახე ახლა რა საქმეს ჩადის! შენ რომ მაგისთვის ერთი კარგათ რუსულათ საქვეყნოთ როზგით გეცემა, ეგ მაგ ამბავს აღარ ჩაიდენდა... ახლა ისე აღარ გაუშვა; დააჭერინე ბიჭებსალა იქვე თავის ძარ ქვეშა სცემე ტიტველაზედა, თორემ ეგ არ მოგვისვენებს.“

აქ რომ ეს ამბავი იყო და შუშანა და ამათი ყმები, ვისაც გული ერჯოდა, ცხარობდნენ და აშურებდნენ დაცემასა, გიორგი თავისთვის მშვიდობიანათ, თითქო აქ არა ამბავიაო, ახალუხა და ღილებ გახსნილი უდგა მხარში საუკეთესო მომკლებსა, აგრიალებდა „ჰოპუნასა“ და მკიდა სხვის დათესილს ყანასა.

მოსეირე ხალხი სულ განაბულნი მოუთმენლათ მოელოდნენ და ხშირათ იხედებოდნენ ქალიდამ და ბუჩქებიდამ დასანახავათ—მოდიან თუ არა ფარემუზის კაცებიო. მაგრამ ყველა ლოდინი ტყუილათ შერჩათ: ამ დღეს საქმე მშვიდობით გათავდა. ფარემუზმა აილო ფაილო საქმე და, თუმცა შუშანა ქოჩორს იგლეჯდა, მაგრამ მაინც დაითხოვა ხალხი და გასცა ბრძანება, რომ ხვალ დილაზედ ქუდზედ კაცი კარგის კეტებით და რამდენიმე საძნე ურმით შეყრილიყვნენ.

—ვაი იმის ბრალი, ვინც ხვალ აქ არ მოვა! სულ დავანცავებ და ციმბირს იქით დავაკარგვინებ...

გიორგიმ ჩამკო ის ხოდაბუნი, მომკო კიდევ ორი სხვა პატარა მიწა, რომლებიც ეგრეთვე წეერთმია ამათთვის ფარემუზსა, დაეთესა ყანები და საღამოზედ დაბრუნდა შინ თავისის მამითადით ფერხულის სიმღერით. საღამოზედ მისცა მუშას თითო პური, მეთაურებს—თავი; დაალევინა თითო დიდი ჯამი ღვინო, ერთიც კიდევ დააბმევინა ფერხული, დააკვრევინა „ცანგალა“, ათამაშა ლეკური და დაითხოვა მუშა შინა და უთხრა, რომ ხვალ პირველს ბრძანებაზედ ყველა მზათა ყოფილიყო.

მეორეს დღეს დილა ადრიანათ ფარემუზმა მრავალის კეტებით შეიარაღებულის ხალხითა გასწია თავის გიორგისგან მოჰკილის ყანებისკენა. გიორგიმაც მაშინვე შეკრიბა თავისი და თავის ძმების კაცები, (ძმები კი საცალას მიიმალნენ) ერთი კარგა ლაზათიანათ კიდევ გადააკვრევინა და მოამზადა საჩხუბრათა. აგრეთვე უბრძანა ოთხ თავის ჯარის კაცსა, რომ სულ თოფ იარაღში ჩამჯდარიყვნენ და როცა უბრძანებდა სასიკვდილოთ აღარავი დასზოგავდნენ.

ფარემუზის ურმებს უნდა გამოევლოთ ზედ გიორგის კალოს პირზედა. გიორგიმ დააყენა გზაზედ ყარაულები, რომ შეეტყობინებინათ, როდესაც ფარემუზის ურმები გამოჩნდებოდნენ, „მე თუ მაგათ ისე არ უყავი მელამ რომ ტყავი შინ მიუტანა მონადირესა, არ იქნება—ამბობდა გიორგი“.

გიორგის აცნობეს: მოდიან ურმებიო. გიორგიმ გაირჭო წელში დამბაჩა, შემოიკრა ხანჯალი და გაუძღვა თავის გლეხებსა. გამოჩნდნენ ურმებიცა და მოადგნენ გიორგის კალოსა.

—დააყენე!—დაუძახა გიორგიმა და გადაეღობა თვითონაც ურემსა:—აბა გადმოიღეთ!—დაუძახა თავის კაცებს, რომელნიც ერთს წუთაზედ აცვივდნენ ურმებზედა.

—არიქა, დაუძახეს მეურმეებმა ფარემუზის ხალხსა, რომელიც იქვე მოსდევდნენ ურმებსა.

ამ ხმაზედ გამოექანა ფარემუზ და დაუძახა თავის მაღალის ხმით:

—აბა, ბიჭო, მაგათა!

და დაერივნენ გიორგისა და ფარემუზის კაცები ერთმანეთში. ფარემუზ გმირულის ბრძანებით ხალხის უკანიდამ იძახდა: „დაჰკა! მოჰკალ! დაიჭი ეგ საციმბიროები, ეგა!..“ და ამ ყვირილსა და ბრძანებაში იმან ვერ შენიშნა დიდ ხანობამდინა, რომ იმის ხალხს თანდათან აკლდებოდა. ბოლოს ძლივს შენიშნა, რომ გიორგი ძალიან ახლოს იყო იმასთან მოსული და იწევდა იმისკენა.

—დაიჭით!.. შეკარით!!.. შესძახა ფარემუზმა, მაგრამ დამჭერი და შემკვრელი ბევრი აღარავინ იყო. ბევრმა ფარემუზის კაცებმა, რაკი დაატყეს, რომ საქმე ცუდათ იყო, დაიწყეს შუამავლობა და აშველებდნენ ორთავ მხარეს.

—ღმერთი გადღეგრძელებს ბატონო, გიორგი!... აი ჩვენ რაც გინდა გვიყავი... ძმები ბრძანდებით, მოითმინეთ—ეუბნებოდნენ ისინი გიორგისა.

—ჩამომეცალეთ თუ ჭკუა გაქვთ!—იძახოდა გაშფოთებული გიორგი.—თორემ მეტი აღარ შემიძლიან!...

ფარემუზის გლეხები ვინცლა დარჩა სულ აქ შეიკრიბნენ ბატონის დასაცველათა, მაგრამ ამდროს მოცვივდნენ ყველა მხრით გიორგის გლეხები, რომლებიც გამოსდგომოდნენ გაქცეულს ფარემუზის კაცებსა და დაუშინეს კეტი. თავპირ დასისხლიანებული გლეხები ზოგი გარბოდა, ზოგი კიდევ, ვისაც შეეძლო, ჩხუბობდა; მაგრამ ჩხუბის ძალა კი აღარა ჰქონდათ.

—არიქა, ბატონო! უშველე შენს თავს!—შესძახა ვილაცამ ფარემუზსა, რომელიც აპირებდა თვითონაც წევას გიორგიზედა.

ფარემუზმა, რაკი დაინახა, რომ ყველა თავის გლეხები შემოეფანტენ, იკადრა დაძვრა; მაგ-

იმ გასწორებაზედ ბაასი განიგრძო 3-ს და 4 მარტს. ჟულ-ფავრის გარდა გასწორების დასაცველად ილაპარაკეს ერნესტ პიკარმა და ჟულ სიმონმა. მეპასუხეთ დიაღ სუსტი საბუთები წარმოადგინეს იმათ წინააღმდეგ, მაგრამ დეპუტატების უმეტესმა ნაწილმა მაინც არ მიიღო ეს გასწორება. 5 მარტს დაიწყო ბაასი მეორე გასწორებაზედ, რომელიც შეიტანეს ორმოც-და-ექვსმა წევრმა. პირველი ორატორი, ამ გასწორების განმმარტებელი იყო ბიუფე ერთ დროს ვაჭრობის და მიწის შემუშავების მინისტრი. ორატორი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ სჯულის-დამდებს კრებ ს შეუძლიან აცნობოს მმართებლობას, თუ რა მდგომარეობაშია საზოგადოების აზრი და რა არის იმის მოთხოვნილება. პალატას უნდა ჰქონდეს სიმართლე, გამოიკითხოს მმართებლობის სხვა და სხვა საქმეების გარემოება; ამისთვის პალატაში უნდა იყვნენ მოქმედი და არა მხოლოდ მოლაპარაკე მინისტრები. მოლაპარაკე მინისტრი, მმართებლობის წარმომადგენელი პალატაში, არ არის მონაწილე იმ მმართველობისა, რომელიც უნდა დაფაროს პალატის წინ, ამისთვის პალატა იმათ პასუხის გებაში ვერ მისცემს. ერთის სიტყვით ბიუფე განმარტებს, რომ პარლამენტური მმართველობა მიუცილებელია. იმის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი, რუე, შეაგონებს პალატას, რომ მთავრობის მხარე დაიჭიროს და ეს გასწორება არ მიიღოს. პალატამ მიიღო ეს შეგონება 206-ის ხმის უმეტესობით და მხოლოდ 63 წევრმა დაიჭირა გასწორების მხარე.

გარდა ამისა პუიე ქერტიემ და სხვა რამოდენმა დეპუტატებმა შეიტანეს გასწორება, რომელიც შეეხებოდა მიწის-შემუშავებას და ბეჭდის თავისუფლებას. ამ უკანასკნელ საგანზედ გასწორება მოითხოვს, რომ ყოველი ბეჭდის შეცოდება დაისჯებოდეს ჩვეულებრივის სამსაჯულოს გადაწყვეტილებით და არა ადმინისტრაციის განკარგულებით. ამ აზრს განმარტებს მარტელი და პასუხს უგებს გრანიე-დე-კასსანიაკი, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „არაოდეს არ ყოფილა კაცი გროლიოზედ უფრო ლიბერალი და უფრო ბეჭდის მეგობარი. მაგრამ გროლიო ბეჭედს შეადარებს ავაზაკს, რომელმაც მოსწამლა ქალაქის აუზები; ის ამბობს, რომ ბეჭედი ყოველ დღე სწამლავს კაცის სწავლათა წყაროს. (პალატაში მოძრაობა). გლე-ბიზუენი: თუ ასეა, ის სრულიად უნდა მოისპოს. გრანიე-დე კასსანიაკი: ლამარტინმა თქვა, რომ ბეჭედმა ცოტა სარგებლობა მოუტანა ქვეყანას, ყოველს სტრიქონში ის დასთხევს შურს, ცილისწამებას და შეურაცხებას, რომ ის შფოთით და ანარხიით (დაუწყობელობით) სავსეა. (ხმიანობა). ბეჭედს საკმაო თავის უფლება აქვს; თუ ის თავის ნებაზედ მიუშვით, დიდს სამწუხარო განკიდურებამდი მივა. რაზედ ვერ ვეთანახმებით ჩვენ ერთმანერთს? აი რაზედ: პატიოსანი ჩვენი ამხანაგები, რომელთაც გასწორებას ხელი მოაწერეს, გვეთანახმებიან, რომ მმართებლობა სავსეა ლიბერალურის და მოთმინების სულით. გლე-ბიზუენი ყვირის: სავსეა ულიბერალო და მოუთმენელობის სულით. მაგრამ იმათ არ უნდათ, რომ ბეჭედი მთავრობის განკარგულების ხელში იყოს“. ორატორი ამტკიცებს, რომ ახლანდელი ბეჭდის მდგომარეობის შეცვლა საჭირო არ არის: ამ გვარათვე ილაპარაკებს სახელმწიფო რჩევის ვიცე-პრეზიდენტი ფორკად-ლა-როკეტი.

შემდგომ იტყვის ჟულ-ფავრი: „მმართებლობის კომმისარი იტყვის, რომ ახლანდელი ბეჭდის მდგომარეობა წარმოსდგება თვით საქმის არსებობისაგან. 1852 წლის დეკრეტის (ბრძანების) ძალით ბეჭედი სრულიად მმართებლობის ხელშია; არც ერთი ჟურნალის დაფუძნება არ შეიძლება, თუ წინ ნება არ აიღე, და როდესაც ინებებს, მთავრობას შეუძლიან მოსპოს იმისი არსებობა. მე მგონია, სჯობდეს ის გულწრფელობა როდესაც გვეუბნებიან, ჩვენთვის საჭიროა დიკტატურა (სრული შემოუსაზღვრელი უფლება) და გვინდა ის ხელიდგან არ გაუშვათ. (ხმიანობა). ჩვენ და მმართებლობას ყველაზედ უფრო ის განგვყოფს, რომ იმას სურს, თავის ნებით არსებობდეს. ის გამოგვიცხადებს, რადგან მე მონდობილი მაქვს, საზოგადო მშვიდობიანობა დავიცვა, მე ჩემი მნიშვნელობის აღსრულება არ შემიძლიან თუ არა ამ ღონის-ძიებით; თუმცა ბეჭედს საზოგადო სიმართლე დაუბრუნდა ყოველივე, დაიღუპებაო. ჩვენ კი სულ სხვაფრივ ვფიქრობთ; ჩვენ გვგონია, რომ თავისნებობა არა თუ არ აძლიერებს მმართებლობას, კიდევაცა უღონოებს და სახელს უხდენს. გარდა ამისა, ამის უარს ვერავინ იტყვის, რომ თუ უკანასკნელ დროში ბეჭედი ეხმარებოდა ისეთ მოქმედებაებს, რომელიც იყო მახე საზოგადო და კერძოობითის ქონებისათვის, ის ამას იქმოდა მთავრობის ნებით. რამდენი ლატარიები, თუ სხვა ამ გვარი საეჭვო რამეები დიდის მოგების აღთქმით მიიზიდვენ იმ თავნს, რომელიც ვაჭრობაზედ და მუშაობაზედ უნდა დაიხარჯებოდეს. ამბობენ, მმართველობა არ შეიძლება, თუ ბეჭედს თავისუფლება ექმნაო. გაკვირვებით გავიგონე ერთის უწინდელის ჟურნალისტისაგან შემდეგომი სიტყვა: „ბეჭედი სულის გამრყვნელია, შემრყევია ზნეობისა“. ვკითხავ ჩემს პატიოსანს ამხანაგს, რას შვრებოდა, როდესაც ხელში კალამი ეჭირა. გრანიე-დე-კარსანიაკი. ვცდილობდი გარყვნილება გამეკურნა. ჟულ-ფავრი. კმაყოფილებით მივიღებ ამ პასუხს, მაგრამ იმ პირობით, ჩემი პატიოსანი ამხანაგი დამეთანახმოს, რომ მარტო იმას ერთს არ ეკუთვნის ეს ტალანტი და ქველის მოქმედება. (მშვენიერია! კარგია!). გრანიე-დე-კასსანიაკი. ეგრეთვე არც თქვენ. ჟულ-ფავრი. მე ამას არაოდეს არ მივითვისებდი. მე მონოპოლიის მხარე არაოდეს არ ვყოფილ-ვარ, მე შემიწირავს ჩემი თავი თავისუფლებისათვის. (მშვენიერია! კარგია!). ბეჭედი ერთის ხელში არ უნდა იყოს; მაგრამ თქვენ ეს ღონეც მიითვისეთ მაშინ, როდესაც ნაციის ყოველი ღონე თქვენს ხელშია. თქვენ ნიადაგ ამბობთ, რომ მიუცილებელია ძლიერი უფლება გქონდესთ, და მეც თანახმავარ ამაზედ; მაგრამ უფლების ღონე მე მიმაჩნია კანონზედ დაფუძნებულს მმართველობაში და არა დიკტატურაში. (კარგია! იმის ორატორის ახლოს). ბეჭდა თქვენს ხელშია და ლაპარაკობთ, ის უზნეობას ავრცელებსო. რა საჭიროა ამგვარი სჯა? ან საზოგადოების მოსატყუებლათ ლაპარაკობთ ამას და ან თუ მართალია, რომ ბეჭედი გასარყვნელათ მოქმედებს, ამ გვარის იმისის გავლენით თქვენც სარგებლობთ. ამ გვარის მმართველობის შენახვა თქვენგან სისუსტის აღსარებაა. თუ გინდათ ფრანციისთვის სასურველი მმართებლობა იყოთ, მიიღეთ სისტემა კანონზედ დაფუძნებულის მმართველობისა. (ორატორის ახლოს მოიწონებენ). როდესაც ხმა შეკრიბეს, 65 ხმა დაითვალეს გასწორების მხრით და 188-იმის წინააღმდეგ.

**სიტყვა ფრანცუზების იმპერატორისა**, თქმული 22-ს მარტს პასუხად სჯულის-დამდები კრების ადრესისა:

უფალო პრეზიდენტო და უფალნო დეპუტატნო!

სჯულის-დამდების კრების უმეტესმა ნაწილმა თავის ადრესით ძლიერ მომიწონა ის პოლიტიკა, რომლის ძალით აგერ თხუთმეტი წელია განვცხრებით მყუდროებით და კეთილ-დღეობით. თქვენ ცდილობთ გაანთავისუფლოთ კაცის აზრი და მოქმედება იმით, რომ დაამშვიდებთ გულის-თქმის მღელვარებას და დააკმაყოფილებთ საზოგადოების მოთხოვნილებას. საზოგადოების ინტერესი არ არის უმთავრესი აღმძვრელი ჩვენის მოქმედებისა? თუ კეთილის სიყვარულით არა, რით იქმნება სასურველი თქვენთვის თქვენი თანამდებობა, ჩემთვის უფლება? თქვენ აიტანდით ამოდენს მძიმე და გრძელ შრომას, თუმც პატრიოტობა (მამულის სიყვარული) არ აღძრავდეს თქვენს გრძნობას? შემეძლებოდა მე თვრამეტის წლის განმავლობაში მეტვირთნა მმართველობის სიმძიმე, ყოველივე წამის მზრუნველობა და მძიმე პასუხის გება ღვთისა და ნაციის წინაშე, თუმც არ ვგრძნობდე ღონეს, რომელსაც მიანიჭებს კაცს ვალის აღსრულება და საზოგადოების სარგებლობის ჩვენება? ფრანციას იგივე სურს, რაც ჩვენ ყველას გვსურს: გამძლე წყობილება, პროგრესი, თავისუფლება, მაგრამ ის თავისუფლება, რომელიც ემზგავსება უღვირობას, დაამხობს სარწმუნოებას, დასთესს მტერობას და შეიქმს აღრეულებას. ჩვენ გვსურს ის თავისუფლება, რომელიც გასინჯავს, განსჯის მმართველობის მოქმედებას და არა ის, რომელიც ემსახურება ღონის-ძიებად მთავრობას ძირი ამოუთხარონ და დაამხონ იგი.

თხუთმეტის წლის წინ, როდესაც მარტო სახელით ვიყავი სახელმწიფოს თავი, ხელში ნამდვილი უფლება არ მქონდა და პალატის შემწეობითაც ვერ ვსარგებლობდი, მე გამოვაცხადე, ფრანცია არ დაიღუპება მეთქი ჩემს ხელში. მე დავამტკიცე ჩემი სიტყვა. თხუთმეტის წლის განმავლობაში ფრანცია დიდდება და წინ მიდის. ჩვენს შემდეგ ჩვენი შვილები განაგრძობენ ჩვენგან დაწყებულს საქმეს; ამის მაჩვენებელია: უმაღლესის სახელმწიფო დაწესებაების შემწეობა, არმიის ერთგულება, მამულის სიყვარული ყოველთა კეთილთ მოქალაქეთა და უკანასკნელ, რაშიაც ჩვენი მამული დაკლებას არ გრძნობდა, მფარველობა ღვთის განგებისა.

## მოკლე განხილვა მმართველობის სხვა და სხვა ფორმისა.

(შემდეგი).

კონსტიტუციით სახელმწიფოს მმართველად,

---

რამ მინამ ის სამშვიდობოს გავიდოდა, სწევდა გიორგი საყელოში, და ერთს თვალის დახამხამებაზედ ამოიდო ფეხქვეშა. გიორგიმ მისცა ორთავე მუხლის თავები გულში და ეძახდა.

—მოგკლა!.. მოგკლა!.. შე ბოროტო!.. არა მზადავ!...

—ყარაულ!!. ხრიალებდა ფარემუზ. ფარემუზის გლეხკაცთა, რომელნიც იყვნენ დამალულნი საბძლებთან და საბძლებშია, ბევრს არ მოუთმინა გულმა თავის ბატონის ამ უპატიურობაზედა და გამოექანენ მოსაშველებლათ; მაგრამ კიდევ მალე იკადრეს გაჩერება, რაკი დაინახეს, რომ გიორგის კაცები გაცხარებულები ეძგერნენ.

გიორგიმ ასწია საყელოში და აიყვანა ფარემუზი.

—არა!.. სისხლი გინდა!? სისხლი გწყურიან?!

და ამ დროს შოლტივით გაიტყლაშუნა ლაზათიანმა სილამ და ფარემუზს მოსძვრა ძირს ზღართანი.

—თქვენ რაღა გინდათ?!—შეუტია გიორგიმ ფარემუზის კაცებსა, რომელნიც თანდათან ისევ ჰგროვდებოდნენ:—აბა კეტი მაგათა!.. ფარემუზის კაცები აპირობდნენ გაძლავრებასა, მაგრამ წინანდელზედ უარესი დღე ახლა დაადგათ და დაიფანტნენ.

ამ დროს მოისმა შუშანას ხმა:

—დასდევგით!.. დაჰკარით მაგ კაენსა!.. დაიჭირეთ!.. მაგრამ ვინღა იყო ყურის მგდებელი.

—შენ მომიკალ ქმარი!?..შენ მომიკალ!... შე საციმბირო!.. საციმბირო!.. კაენო!.. ჰა!. შენა?!..

—არა, რა გნებავთ!.. რა თქვენი საქმეა?!.. მიუბრუნდა გიორგი, რომელიც ძლივს იმაკრებდა თავსა.

—შე კაენო შენა... გვემონო.. შე ძმის მკვლელო!.. შე ჩამოსახრჩობო!..

—კარგი, კარგი! თავპატივი დაიდე....

—მე გაჩვენებ შენ თამაშას... დამაცადე... დამაცადე... ჰყვიროდა თონესავით ანთებული, გაკაპასებული შუშანა და მიიწევდა გიორგიზედა.

—გამაცალეთ ერთი თუ ღმერთი გწამთ, არ შემომაკვდეს!.. ჯარის კაცები მივიდნენ შუშანასთან.

—ვინა! მეე?! მე უნდა გამაცალონ!!... აბა გაჰბედეთ!. და იმან წამოავლო ქვას ხელი:—აბა მობძანდით!...

—გეხვეწებით თავი დამანებეთ მეთქი!—ეუბნებოდა მოთმინებიდამ გამოსული გიორგი.

—შენა! შენა!! შენ დაგანებო თავი, კაცის მკვლელსა?!.. შენ არიცი ვის ელაპარაკები!!.. და შუშანამ კიდევ უფრო მიიწია.

ჯარის კაცებმა რაკი დაატყეს, რომ გიორგი მოთმინებიდამ გამოვიდა და იმის ჭკუისაგან საკვირველი არ იყო, რომ არც ამას დაზოგავდა და ერთს ბიაბრუობას აჭმევდა, შუშანას წყნარათ ხელი მოჰკიდეს

—ქალბატონო დამშვიდდით!.. ღმერთი გადღეგრძელებთ...

—ყარაუუულ!! დაიწყო საკვდავს ხმაზედ ღრიალი შუშანამ:—მოწმები იყავით...მცემენ, თქვენი ჭირიმეთ, მცემენ....... მცემენ... კარგი, კარგი!.. ვიჰ!..

ამ ხრიალში გადაფითრდა შუშანა და ჩაეკეცა მუხლთა.

—წყალი!.. მომკლეს!—იძახდა მისუსტებულის ხმით და შეუღონდა გული.

ფარემუზ, რომელსაც ასულიერებდნენ და რომელიც უფრო და უფრო იმკვდანურებდა თავსა, წამოჯდა უცებ.

—წამიყვანეთ შუშანასთან!.. მიხედეთ ქალბატონსა!.. დაიძახა იმან და გასწია ცოლის მოსასულიერებლათ.

გიორგიმ მიანება ამათ თავი და წავიდა ურმების დასაცლელათა.

ფარემუზის კაცები ცოტ—ცატათი შეიკრიფნენ და მალე მოასულიერეს.

ფარემუზს დაუსივდა ყბა.

ის გაცხარებული აპირებდა საჩივარსა; მაგრამ მერე მოიფიქრა, რომ საჩივარი საჭირო არ იყო და უპირებდა თითონვე გადახდევინებსა. „დაიცადოს, ჰფიქრობდა ისა:—მაგას ერთი დავაჭერინებ როდისმე და საქვეყნოთ ტიტველა ტანზედ როზგით სულ ტყავს გავაძრობ და დედაკაცებსაც კი ვაყურებინებ.“

მაგრამ შუშანა არ შეჰჯერდა ამ გონივრულს ფიქრსა და აღარ უსვენებდა დღე დაღამა,

—როგორ თუ თავი უნდა დაანებო!—ჩაშჩინებდა ისა:—ამ აბიდას ისე უნდა თავი დანებო, მინამ შენ მაგასა სცემდე? სცემო კი არა, მთავრობა მოიყვანე აქა და თითონ იმას გამოაძიებინე... თითონ ხელმწიფესთან უჩივლე და როგორც ძაღლი ისრე ჩამოახრჩობინე თავის კარებზედა.

და ბოლოს დაიყოლია ცოლმა ფარემუზ. თითონაც კი ბოლოს ფიქრს მოვიდა. „ცემით, ვინ იცის, ვცემ თუ არა?.. ეგ ისეთი რაზბონიკია, რომ იქნება კიდეც მომკლას და ისევ საჩივარი სჯობიან!“ ჩივილით იმედი ჰქონდა, რომ რაკი ბევრს უფროსს კაცებს იცნობდა, თუ ციმბირში არ დააკარგვინებდა, ჩინებს მაინც ჩამოართმევინებდა და ციხეში რამდენიმე წლობით დააჭერინებდა.

ეს ხმა, რა საკვირველია, გავარდა ძალიან შორსა. შემდგომ ამისა ხშირად თავადი და აზნაურები, ვისაც ჯავრი სჭირდა ფარემუზისა გაურბენდნენ ხოლმე კარებზედ გვერდზედ ხმალ შემოკაკურებულნი ცხენის კუნკრუხითა, თითქო იმითი უნდა ეთქვათ: ჰე! მოგვხდა თუ არა! ეხლა ჩვენც აღარ გვეშინიან შენიო! ფარემუზს ბრაზით გული უსივდებოდა ამ ამბავზედა და, სხვას რომ ვეღარა ვის რა დააკლო, მოიგდო ერთი აზნაურშვილი, რომელსაც წისქვილში ურმით საფქვავი მოჰქონდა და იმის კარებზედ გამოიარა, დააჭირინა, ჯერ ერთი კარგათ სჯულიერად სცემა; მერე საფქვავი სულ წყალში ჩაუყარა და საქონელი დაუწყვედია წასართმევათა.

ვერიცანიძე.

როგორც ზევითა ვსთქვით, ხელმწიფე ითვლება. ხელმწიფე ნიშნავს მინისტრებს, რომელნიც მართვენ სახელმწიფოს. როცა საჭიროა ახალი სამინისტროს შედგენა, ხელმწიფე მოუწოდებს ერთს პირს, რომელსაც გავლენა აქვს პარლამენტში და მისცემს მას წინადადებას, რომ სამინისტრო შეადგინოს. ეს პირი მოილაპარაკებს პარლამენტის თავ-კაცებთან და თუ დაატყო, რომ ამათგანი ბევრნი თანახმანი იქმნებიან იმასთან იმსახურონ და პარლამენტის მეტი ნაწილი იმისი წინაალმდეგი არ არის, მაშინ იკისრებს სამინისტროს შედგენას. ერთის მინისტრის თანამდებობას თვითონ აიღებს და ამასთანავე შეიქმნება პირველი ან თავი-მინისტრი და სხვა მინისტრების თანამდებობას იმათ მისცემს, ვისაც პარლამენტში გავლენა აქვს, იმ განზრახვით, რომ მომატებული რიცხვი დეპუტატებისა მიიმხროს. ყველა მინისტრები შეადგენენ კაბინეტს, რომელსაც პირველი მინისტრის სახელი ეძლევა. მაგალითად, ახლა ანგლიაში პირველ მინისტრად ლორდი როსსელია და ამისგამო ახლანდელს სამინისტროს როსსელის სამინისტრო ჰქვიან.

თუმცა მინისტრებს ხელმწიფე ნიშნავს, მაგრამ ისინი მაინც პარლამენტზედ არიან დამოკიდებულნი. პარლამენტს შეუძლიან ყოველთვისმოსთხოვოს იმათ ანგარიში მმართველობაში; ისინი არიან პასუხის მგებელნი ყოვლის მმართებლობის მოქმედებაში. თუ რამე დააშავეს, პარლამენტს შეუძლიან ისინი სამართალში მისცეს; თუ პარლამენტს არ მოსწონს იმათი მართვა და საქმობა, გამოაცხადებს, რომ სახელმწიფოს არა აქვსო ნდობა და რწმუნება მინისტრებზედ და ამის შემდგომ მინისტრები სამსახურიდგან უნდა გამოვიდნენ. მინისტრები თავიანთს ადგილზედ ვერ დამყარდებიან, თუ პარლამენტის წევრებთაგან უმეტესს ნაწილს იმათი მხარე არ უჭირავს.

რასაკვირველია შესაძლებელი არ არის, რომ ყველა პარლამენტის წევრები ერთის აზრისა და მიმართულებისა იყვნენ. როგორათაც სახელმწიფოში არსებობენ პარტიები, ისე ხალხის წარმომადგენელებშიაც. პარლამენტის წევრმა უნდა იმოქმედოს იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელმაც ამოირჩია თავისს წარმომადგენელად და ამისგამო იმას უნდა ჰქონდეს თავის მოქმედების პროგრამმა. ერთის მიმართულების წევრები შეერთდებიან ხოლმე, შეადგენენ ერთს პარტიას და ერთად ცდილობენ თავისის პროგრამმის ასრულებას. თუ ცოტა რამე განსხვავებაა იმათს პროგრამმაში, ერთი ერთმანეთს უთმობენ, რომ უფრო გაამძლიერონ თავისი პარტია. ამ ნაირად პარლამენტში რამდენიმე პარტია შესდგება, მაგრამ თავი პარტიები თითქმის ყოველთვის ორია. ასე ანგლიის პარლამენტში ორი დიდი პარტია არის: ერთი ტორებისა და მეორე ვიგებისა. ტორები კონსერვატორები არიან, ე. ი. უნდათ დაიცვან შეუცვლელად ძველი ანგლიის კონსტიტუცია და ამისთვის არ უნდათ, რომ იმაში რამე საფუძვლიანი ცვლილება მოხდეს. ვიგები—ზომიერი პროგრესისტები არიან. ისინი წინაალმდეგნი არ არიან, რომ კონსტიტუციაში მცირე ცვლილება მოხდეს, მაგრამ ძირი-ცვლილება არც იმათ უნდათ. ამ უკანასკნელს დროში ანგლიის ქვემო პარლამენტში გაძლიერდა რადიკალების პარტია, რომელთაც უნდათ მოახდინონ კონსტიტუციაში ძირი-ცვლილება.— მცირე პარტიები ხან ერთს დიდს პარტიას მიემხრებიან და ხან მეორეს. ეს იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რომელთან უფრო ახლოს არიან თავის მიმართულებით, ან რომელი პარტია მეტს შემწეობას აღუთქვამს იმათის პროგრამმის აღსრულებაში. თვითოეული ამ პარტიებთაგანი იმას ცდილობს, რომ ხელში ჩაიგდოს მმართებლობის უფლება, ე. ი. მინისტრებათ თავის პარტიის კაცები დანიშნოს და მერმე ისე მართოს სახელმწიფო, როგორც იმისი ინტერესი მოითხოვს. მაგრამ ამის აღსრულებას მხოლოდ მაშინ შეიძლებს, როცა თავის მხარეზედ ეყოლება პარლამენტის უმეტესი ნაწილი. იმ პარტიას, რომელსაც მინისტრების მხარე უჭირავს, სამინისტრო პარტია ჰქვიან; წინაალმდეგს პარტიას ოპპოზიციას ეძახიან. პარლამენტში ჩვეულებრივ მინისტრის პარტია მარჯვნივ ზის ხოლმე და ოპპოზიციის პარტია—მარცხნივ, ამისთვის პირველს პარტიას ხშირად მარჯვენა მხარეს ეძახიან და მეორეს-მარცხენას.

კანონის პროექტს, რომელსაც ანგლიაში ბილლს ეძახიან, ჯერ ქვემო პალატაში შეიტანენ. ჩვეულებრივ მინისტრები ადგენენ ბილლს და ცდილობენ, თავისის პარტიის შემწეობით, რომ ის პარლამენტმა მიიღოს და დაამტკიცოს. პარლამენტში საქმე ხმის სიმრავლით გადაწყდება. თუ ქვემო პალატაში ბილლი მიიღო ნახევარზედ მეტმა იმ დეპუტატების რიცხვიდამ, რომელნიც დაესწრნენ შეყრილობაში ხმის მოკრეფის დროს, მაშინ იტყვიან, ქვემო პალატამ ბილლი მიიღოო. შემდეგ ბილლს ზემო პალატაში შეიტანენ. თუ ის ზემო პალატამ მიიღო ე. ი. ნახევარზედ მეტმა წევრმა ხმა მისცა იმის სასარგებლოთ, მაშინ იტყვიან, ბილლმა ორივე პალატა გაიარაო. თუ ზემო პალატამ არ მიიღო ქვემო პალატისაგან დამტკიცებული ბილლი, მაშინ უკან დაუბრუნებს ამ ბილლს თავის შენიშვნებით დეპუტატთ-პალატას. ამ შემთხვევაში მოლაპარაკება მოხდება ორის პალატას შუა, ერთი ერთმანეთს მოსთხოვენ დათმობას და თუ დათანახმდენ და მორიგდნენ, ბილლი გაივლის, თუ არა და ჩაიშლება. ორივე პალატისაგან მიღებულს ბილლს ხელმწიფეს მიართმევენ დასამტკიცებლად. თუ ხელმწიფემ ხელი არ მოაწერა, ბილლი ჩაიშლება, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე. როდესაც ხელმწიფე ბილლს ხელს მოაწერს, ის კანონად გადაიქცევა.

პარლამენტში წევრები სიტყვით და ბაასით განიხილვენ საქმეს. თვით სიტყვა პარლამენტი აქედგან წარმოსდგა: ფრანცუზულათ parlement ნიშნავს ლაპარაკს, საუბარს. ერთი რომელიმე პარლამენტის წევრთაგანი წარმოსთქვამს აზრს, წარმოადგენს პროექტს და სიტყვას იტყვის თავის აზრის გასამართავად. წინაალმდეგის პარტიის დეპუტატი დაუწყებს ჩხრეკას ამ პროექტს, წარმოადგენს პროექტის ნაკლულევანებას და ყოვლის ღონის-ძიებით ცდილობს, რომ პარლამენტმა არ მიიღოს ეს პროექტი. ამ ბაასში სხვანიც მიიღებენ მონაწილეობას, მიეხმარებიან თავიანთის პარტიის დეპუტატებს და გაიმართება პარტიების შეტაკება, ბრძოლა და ბაასი.-პარლამენტის ბაასს დებატს ეტყვიან.-რასაკვირველია ყველანი ერთად არ დაიწყებენ ყვირილს, როგორც ჩვენში კენჭის ყრის დროს მოხდება ხოლმე. პარლამენტის წევრებს რიგით ეძლევათ სიტყვის წარმოთქმის ნება. ამისთვის პარლამენტი ამოირჩევს ხოლმე პრეზიდენტს (*), რომლის ვალდებულებაა წესის დაცვა დეპუტატთ შეყრილობაში. პრეზიდენტი რიგით აძლევს დეპუტატებს სიტყვის წარმოთქმის ნებას; თუ ვინმე იმათგანი ურიგოთ მოიქცა, შენიშვნას მისცემს და სიტყვასაც წაართმევს; თუ ვინიცობაა დეპუტატები ისე გაცხარდნენ, რომ პარლამენტში არეულობა და უწესოება მოხდა, პრეზიდენტს ნება აქვს იმ ჟამათ შეყრილობა დაშალოს და სხვა დრო დანიშნოს დეპუტატების შესაკრებლად.

მინისტრების პარტიის და ოპპოზიციის შორის განუწყვეტელი ბრძოლაა. ოპპოზიცია ცდილობს გადმოაგდოს ადგილიდამ მინისტ-

(*) ანგლიაში ქვემო პალატის პრეზიდენტს სპიკერს ეძახიან.

რები და თავის წევრებს მისცეს იმათი თანამდებობა. ამისთვის ოპპოზიცია ცდილობს უპოვოს მინისტრებს შეცდომილება, ეძებს იმათის მმართველობის ნაკლულევანებას და უკანონო ქცევას; ყოველს იმათს მოქმედებას თვალს ადევნებს, რომ დაიჭიროს რამეში და დაუმტკიცოს პარლამენტს, რომ ქვეყანას ისინი კარგად ვერ მართვენ. ოპპოზიციას ადვილად შეუძლიან კვალში ჩაუდგეს მინისტრებს და განარჩიოს იმათი მოქმედება. ამისთვის, რომ თვითონ კარგად იცის მმართველობის სისტემა. იმათ რიცხვში ბევრნი იმისთანაები არიან, რომელნიც უწინ მინისტრად ყოფილან და მაღალი ადგილები სჭერიათ; მაშა სადამე გამოცდილნი და დახელოვნებულნი არიან საქმეებში. მინისტრები იმათ ვერაფერს გამოაპარებენ. საქმის განხილვის დროს პარლამენტს შეუძლიან მინისტრებს მოსთხოვოს ცნობები ამ საგანზედ და მინისტრები ვალდებულნი არიან წარუდგინონ ეს ცნობები და აუხსნან საქმის მდგომარეობა. რაც რამ პარლამენტში ითქმება, ყოველივე გაზეთებში იბეჭდება. ამისთვის გაზეთების რედაქციებს ჰყავთ პარლამენტში სტენოგრაფები, (*) რომელნიც სწერენ დეპუტატებისაგან წარმოთქმულს სიტყვებს. ამ საშუალებით მთელი ქვეყანა ტყობულობს, რაც რამ პარლამენტში მოხდება.

გაზეთებში გაარჩევენ მინისტრების და პარლამენტის მოქმედებას, წარმოსთქმენ თავიანთს აზრს. გაზეთების გარდა, კონსტიტუციურს სახელმწიფოებში ხალხს სხვა საშუალებაც აქვს თავისის აზრის და სურვილის გამოსაცხადებლად. საქმის გასასჯელად საზოგადო საჭიროებისთვის იქ შეიყრება ხალხი, შეადგენს კრებას, რომელსაც ანგლიურად მიტინგი ჰქვიან. მიტინგში ზოგიერთნი პირები წარმოსთქმენ სიტყვას, აუხსნიან ხალხს იმ საქმის გარემოებას, რომლისთვისაც შეიყარნენ, გასჯიან იმას და გამოაცხადებენ თავის აზრს, თუ როგორ სჯობსო ამ საქმის გადაწყვეტა. აზრებთაგანი, რომელიც უფრო მოეწონება კრებას, იმას მიიღებს. მერმე შეადგენენ ქაღალდს პარლამენტის სახელზედ, რომ ამა და ამ მიტინგმა ასე გადაწყვიტაო ესა და ეს საქმე და სთხოვენ იმას იქონიოს მხედველობაში ეს აზრი და საქმეც ისე გადაწყვიტოს. ამ გვარს თხოვნას პეტიციას ეძახიან. გაზეთების და მიტინგების სჯას და მოთხოვნილებას დიდი გავლენა აქვს პარლამენტზედ, ამისთვის რომ ისინი კარგად გამოხატვენ ხალხის აზრს და სურვილს. ხშირად მოხდება, რომ პარლამენტს არ უნდა შესცვალოს კანონი, მაგრამ ხალხი გაზეთებით, მიტინგებით და პეტიციებით ძალას ატანს და სურვილის წინაალმდეგ აცვლევინებს კანონს, ან ახალს აწესებინებს. აქედამ ცხადი დასანახავია, რომ ქვეყანას თვითონ ხალხი მართავს.

კონსტიტუციურს სახელმწიფოებში მინისტრები პარლამენტს აძლევენ ანგარიშს სახელმწიფოს შემოსავლის ხარჯში, წარუდგენენ დასამტკიცებლად მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის გაწერას, სთხოვენ დეპუტატებს ნება-რთვას ახალის გადასახადის დადებაზედ, ან ძველის მოსპობაზედ, ჯარის მოკრეფაზედ, ომის დაწყებაზედ, ახალის კანონის დაწესებაზედ და ძველის მოსპობაზედ, ერთის სიტყვით მინისტრებმა ე. ი. მმართებლობამ უნდა მოსთხოვოს ხალხის წარმომადგენელს დეპუტატებს ნება-რთვა ყოველს საქმეზედ, რომელიც კი შეეხება ხალხის საჭიროებას და სარგებლობას.

(*) სტენოგრაფი—ჩქარაულ-მწერალი. სტენოგრაფები სწერენ შემოკლებულის ნიშნებით. ისინი ისე დახელოვნებულნი არიან ჩქარა წერაში, რომ ასწრებენ წარმოსთქმულის სიტყვების ქაღალდზედ გადაღებას, ასე რომ არც ერთს ლექსს არ დასტოვებენ.

## სახაზინო განცხადებები.

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 17.)

1) 1866 წლის 20 მაისს ზაკავკასიის ხაზინის პალატაში დანიშნულია ტორგი იჯარით ბაჟის ასაღებათ იმ სასმელებზედ, რომელნიც ქ. დუშეთში და ლენკორანში შემოიტანება ვადით 1870 წლის 1-ლს იანვრამდე. პერეტორჟკა 24 მაისს მოხდება.

2) ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში 19 და 23 მაისს დანიშნულია ტორგი ხარჯის საძლევათ იმ 2-რე კლასსის ლოშპიტლისათვის, რომელიც აწ გაიხსნება უსტ-ლაბაში, დღიდგან გახსნისა 1867 წლის 1-ს იანვრამდე, იმ პირობით, რომ იჯარა შეიძლება უფრო მეტის ვადითაც დამტკიცდეს, თუ ტორგზედ წარმოდგენილი ფასი ხაზინისთვის სასარგებლო იქმნება.

3) ოკრუგის საინჟენერო სამმართველო მოიწვევს მსურველთ, რომ ნარდათ აიღონ რემონტი სამხედრო შენობისა ტფილისში და იმის გარეშემო. ამ რემონტისთვის დადებულია 12,600 მან. ტორგი მოხდება ოკრუგის საინჟენერო სამმართველოში 6-ს და პრეტორჟკა 9 მაისს.

4) ოკრუგის საინჟენერო სამმართველო მოიწვევს მსურველთ, რომ ნარდათ აიღონ აშენება ლოშპიტლისა თავის სამოსამსახუროებით ქ. პეტროვსკში (დაღესტნის ობლასტში) 400 ავათმყოფისთვის. ამ ლოშპიტლის ასაშენებლად დადებულია 288,623 მან. და $19\frac{1}{4}$ კაპ. ტორგი მოხდება ტფილისში ოკრუგის საინჟენერო სამმართველოში 3-ს და პერეტორჟკა 6 ივნისს 1866 წელს.

5) ზაკავკასიისპრიკაზში 4 ივლისს არის დანიშნული ტორგი გასასყიდათ ქვითკირის სახლისა ფლიგელებით, რომელიც ეკუთვნის გადაცვალებულის მოქალაქის ვართან ბოღდანის შვილის არშაკუნის მემკვიდრეებს. ეს სახლი არის 1-ლის ნაწილის 3 კვარტალში, ტფილისში, ვენიამინოვის და ხანის ქუჩებში.

(Кавказъ № 32.)

ქუთაისის ღენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ამ წლის 20 მაისს ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში არის დანიშნული ტორგი 1190 კუბის საჟენი კენჭის დასაგებლათ იმ ახალის სამხედრო სოხუმის გზისათვის, რომელიც მდინარეს ხოფსა და ციას შუა გაიყვანება. ქვის ფასი 17,850 მანეთი არის; მაგრამ კენჭის მოტანას უნდა შედგომა იმ პირობაების ძალით, რომელთაც შეტყობა მოხსენებულს სამმართველოში შეიძლება. პერეტორჟკა 4 დღის შემდეგ მოხდება.

## კერძოობითი განცხადება.

პატივცემულს ტფილისის პუბლიკას ვაცნობებთ, რომ ორთქლით სამუშაოს ქარხანაში, რომელიც არის ნემეცურს კოლონიაში და ეკუთენის რაისსა და კამპანიას, ხერხენ რვავერშოკიანის სიგანის ხეებს, 17 კაპეიკათ ლარსა, ამზადებენ კარებებისთვის შპუნტის სამუშაოს, აკეთებენ კარნიზებს და ბაგეტკებს, ქლიბვენ რკინეულობას. ამ ქარხანაშივე ჰყიდიან ძალიან კარგს ანგლიურს კლიტეებს. (2)

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

**ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის**, შედგენილი ი. გ. და სახელმძღვანელოთ მიღებული საქართველოში ყოველს საერო და სასულიერო სასწავლებლებში, ისყიდება: ტფილისში მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ტერ-მიქელიანცის წიგნების მაღაზინში და სემინარიის სახლში იაკობ გოგებაშვილისას; ქუთაისში—სასულიერო სასწავლებელში, გერასიმე კალანდარიშვილისას, გორში—სასულიერო სასწავლებელში, იოსებ ლამაურისას, სიღნაღში ბლაღოჩინის ღამბაროვისას; თელავში თ. გიორგი ჩიქოანისას. ფასი ერთი აბაზი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го мая. 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი.

პეტერბურგში მიღებული.

ფრანკფურტი-მაინზედ, 14 (26) აპრილს. დღევანდელს გერმანიის სეიმის (კრების) ერილობაში ამოირჩიეს სარეფორმო კამიტეტის წევრები. ამ კამიტეტში ამორჩეულნი არიან წარმომადგენელნი პრუსსიისა, ბავარიისა, ღანოვერისა, ვირტემბერგისა, ბადენისა, ღესსენ-დარმშტატისა და საქსონიისა; წევრებათ-კანდიდატებად არიან წარმომადგენელნი ღესსენ-კასსელისა და მეკლენბურგისა.

ბერლინი, 14 (26) აპრილს. აფიციოზნის ჩრდილოეთის გერმანიის საზოგადო გაზეთში სწერენ: ,,რადგანაც ავსტრია შედგომია დიდს სამხედრო მზადებას, ამისთვის პრუსსია შეიარაღებას თავს ვერ დაანებებს. თუ ვინიცობაა ავსტრია იტალიას დაეცემა პრუსსიამ არ უნდა მისცეს ნება, რომ იტალიის არმია შეიმუსროს. ავსტრიას ხელი არ უნდა ჰქონდეს არც პრუსსიაზედ და არც იტალიაზედ, თუ არა და პრუსსიასაც ნება უნდა ჰქონდეს ჯარის გაძლიერებაზედ.

ვენა, 14 (26) აპრილს. ერთს ვენის გაზეთში სწერენ, ვითომც იტალიის მმართებლობამ აფაციალურად აცნობა ფრანციის და ანგლიის მმართებლობას, რომ იტალიის ჯარების ერთად შეგროვებაზედ გავარდნილი ხმა ტყვილია.

ვენა, 15 (27) აპრილს. ავსტრიის იმპერატორმა მიიღო დღეს ვენგრიის დეპუტატები, რომლებიც სეიმის ადრესით გამოცხადნენ. ანდრასსიმ, რომელიც დეპუტატების მაგივრად ლაპარაკობდა, წარმოსთქვა თავის სიტყვაში, რომ ვენგრია ხელახლა შეიქმნება იმპერატორის ტახტის დედა-ბოძათ, ოღონდ კი დაჩქარდეს კონსტიტუციური პრინციპების ახსნა და გარკვევა. ამის პასუხად იმპერატორმა იმედი მისცა, რომ ჩქარა მოხდება მორიგებაო ვენგრიას და მთელს მონარხიას შუა.

ამტკიცებენ, რომ პრუსსიის ელჩმა ბარონ კერტერმა ვენაში გამოუცხადა უცხო ქვეყნის საქმეების მინისტრს გრაფს მენსდორფს, რომ ჩქარა მიიღებთო პრუსსიის ნოტას, რომელშიც პრუსსია გამოაცხადებს, რომ ის შეიარაღებაზედ ხელს ვერ აიღებს, თუ ავსტრია თავის ჯარს ვენეციაში მისცემს სამხედრო მდგომარეობას.

პარიჟი, 15 (27) აპრილს. ერთს გაზეთში ამტყუნებენ ხმას ფრანცუზების შეიარაღებაზედ და ჯარის ერთად შემოკრეფაზედ. ამავე გაზეთში სწერენ, რომ ფრანციის მმართებლობას ყველგან მშვიდობიანობის დაცვა სურს; ის არ აღძრავსო საომრათ არც ერთსა და არც მეორეს სახელმწიფოს.

ლონდონი, 15 (27) აპრილს. გუშინდელს ქვემო პალატის შეერილობაში უცხო-ქვეყნების საქმეების მინისტრის ამხანაგმა უ. ლეიარდმა გამოაცხადა, რომ მმართებლობას არა სჯერაო, რომ იტალიის ვოლონტერები ავსტრიას შეესივნენო. უ. ლეიარდმა ამას დაუმატა, რომ ავსტრიის იმპერატორს უარი არ უთქვამსო, გრაფ არეზეს და უ. ვისკონტი-ვენოსტას ნახვაზედ.

ლონდონი, 16 (28) აპრილს ქვემო პალატის ერილობაში, რომელიც გაგრძელდა გუშინდელი საღამოდამ დღევანდელის დილის ოთხს საათს ნახევრამდე, 318 ხმამ 313-ისა წინაალმდეგ მიიღო მეორედ წაკითხვა ბილლისა რეფორმაზედ.

პირველი წელიწადი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში ,,დროების“ რედაქციის კანტორაში, ... ლის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, ქ. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

# ...ლ გაზეთი.

...ბა მოიპოვებს დიდს ძალას; და ჩვენი სამშობლო — უფრო მტკიცე საფუძველს თავისუფლების და განათლების წარმატებისათვის.“

— ბ ლ ა დ ს ტ ო ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ა ლ ი ვ ე რ პ უ ლ შ ი.

ლივერპულის ამფითეატრში, რომელიც მჭიდროთ იყო გავსებული ხალხით, გლადსტონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ახლანდელის ბილლის სარგებლობას და საჭიროებას მხურვალეთ და ცხადათ ამტკიცებდა. გლადსტონი თავ და პირველათ თავის სიტყვას მიაქცევს იმათკენ, ვისაც ამომრჩევლების უფლების გაძლიერება მიაჩნიათ დიდ ბოროტებათ და ითხოვენ, რომ ბილლის მომხრეებს დაუმტკიცონ იმათ, თუ რით არის ცუდი ახლანდელი ქვემო პალატის შედგენილება. ამისთანა მოთხოვნილებას გლადსტონი რაცხს შეუფერებლად და არ ისურვებს, რომ ახლანდელის რეფორმის საჭიროება დაამტკიცოს პალატის წევრების ძაგებით.

„თუნდა ქვემო პალატის ახლანდელი შედგენილება ყოვლის მხრით იყოს დასაკმაყოფილებელი, განაგრძობს ორატორი, მაინც კიდევ ამ შემთხვევაშიაც სასურველი უნდა იყოს, რომ წარმომადგენელს უფლებაში მიიღონ მონაწილეობა დაბალი ხალხის ახალმა და ცოცხალმა პირებმა. პირველი და სრული და საკმაო საბუთი მოხსენებულის რეფორმისა, ბრიტანიის მმართებლობის შეხედულობით, არის ის გარემოება, რომ ეს ცვლილება რამდენჯერმე საქვეყნოთ ხალხისათვის აღთქმული იყო. თუ ეს საბუთი საკმაოთ ჩაითვლება, შეიძლება სხვა საბუთები მოვნახოთ. გლადსტონი იკითხავს: განა შეიძლება რომ სამართლიანათ შევრაცხოთ დაარსებული განაწილება ამომრჩეველის უფლებისა მესახებ მუშა ხალხისა? მუშა ხალხს ჰყავს თავის შეძლების შესაფერი რიცხვი წარმომადგენლებისა? — იმ თი ქონება, ვინც არ ეკუთვნიან მუ-

ლისში უწინდელზედ უფრო გამხიარულებული იყო და ამის მიზეზი შეიქნა ორი ფრანცუზულიდამ გადმოღებული კომედია.

ეს ორი კომედია — „ცოლის შერთვეინება“ და „ძალათ ექიმი“ ფრანცუზის გამოჩინებულის მწერლის მოლიერისაგან არის შეთხზული. „ცოლის შერთვეინება“ უ. დიმიტრი ყიფიანისაგან ჩინებულის ქართულის ენით არის ნათარგმნი. უნდა ვთქვათ, რომ უფ. დ. ყიფიანი ქართულს სიტყვიერების ცოდნაში განთქმულია და ყოველი იმის კალმიდამ გამოსული თხზულება, თუ ნათარგმნი და თუ საკუთარი, ლექსში ძალა-დაუტანელობით და ბუნებითი სინამდვილითა ბრწყინავს. როდესაც შევხვედრია ხოლმე იმის ენით დაწერილის თხზულების წაკითხვა, ბევრჯერ მხიარულებით წამოგვიძახნია — აი ნამდვილი ქართული ენა!.. აი ის მდიდარი ქართული ენა, რომელსაც თითქმის არა ღრმა აზრის ნათლად გამოთქმა არ გაუჭირდება. „ცოლის შერთვეინება“ უწინაც იყო სცენაზედ ერთჯერ, თუ ორჯერაც, მაგრამ წლევანდლის წარმოდგენა სისრულით ბევრათ სჯობდა მაშინდელს. „ძალათ ექიმი“ კი წლევანდელის მეტად არ გვინახავს, რომელიც ცხოვრების სინამდვილეს ცხადათ წარმოადგენს. ამ კომედიების წარმოდგენის დროს გულითადი სიცილი გაუწყვეტლად გრიალებდა პარტერში და ეს საყოველთაო სიცილი გვიმტკიცებდა ნათლად, რომ ყველას ჩვენთაგანს ბევრჯერ უნახავს ჩვენს ცხოვრებაშიაც ამისთანასურათი. ჩვენ გვინდა ზემოხსენებულს პიესებზედ ვთქვათ რამოდენიმე სიტყვა და ბოლოს თვით წარმომდგენელებზედაც, მაგრამ პირველად სჯობს მოკლეთ მოვიხსენოთ კაცის ზოგი უმთავრესი თვისება, ანუ ხასიათი, რომ უფრო ცხადათ გავიგოთ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცხოვრებაში დრამატიკურს თხზულებას. მიდრემდის კაცს არა ვითარი ცოდნა არა აქვს, ქვეყნიერობისაც იმას თითქმის არა გაეგებარა. ის ვერ ცნობს თავის კაცურს მოვალეობას და ემორჩილება სრულიად სხეულის მოთხოვნილებას. ამისთანა პირებისაგან შემდგარს საზოგადოებას იმავე გვარი თვისება აქვს. სვინიდისი ძვირათ ამხილებს გონება-გაუხსნელს საზოგადოებას; ცუდის მოქმედების საგრძნობლათ იმას ცოცხალს სურათში უნდა აჩვენოს კაცმა იმისივე ლოთობისთანა ძნელი მოსაშლელი კაცისთვის არა არის რაო, მაგრამ ბევრჯერ შეიძლება, რომ ლოთი სრულიად ღვინის სმას გადაეჩვიოს, როდესაც ნახავს მომაკვდავს კაცს, რომელსაც არაყით კუჭში ცეცხლი ედება, იმისაგან წვალობს და იკრუნჩხვის. ქვეყანაზედ ხშირია იმისთანა სურათი, რომელშიაც კაცი თავის უბედურების სურათი ღრმად შეარყევს და ზნეობით გააკეთებს. თუ ხალხში წერა-კითხვა გავრცელებულია, ის მაშინ კარგის წიგნების კითხვითაც გაიხსნის გონებას და გაკეთდება. იქ დაწინაევებულის კაცების ვალია, მისცენ ხალხს ამ გვარი საზრდო და არ მოაწყურონ კარგი წიგნების კითხვა; მაგრამ იმ ხალხში, სადაც ანბანის სახელიც არ იციან, რა საშუალებით უნდა გაეხსნას ხალხს გონება? — ამ შემთხვევაში არის ორგვარი ღონისძიება: — ერთი ისა, რომ ჭკვიანი კაცი და მეცნიერი უნდა საქვეყნოდ გამოვიდეს და იქადაგოს, როგორც საბერძნეთში ამას სოკრატ ფილოსოფოსი იქმოდა; მეორე ისა, რომ ძალიან ნიჭიერმა კაცმა უნდა მოიგონოს იმისთანა საშუალება, რომლითაც შეიძლებოდეს, რომ ხალხს აჩვენოს ნამდვილი თავის ცხოვრება

და მოქმედება. ამისთვის დახელოვნებული მწერალი ამოარჩევს ხოლმე ცხოვრებაში იმისთანა მოვლენას (შემთხვევას), რომელიც კაცის ცუდს გულის-თქმას მოუხდენია და რომელიც საზოგადოების ნაკლულევანების ბრალია. ცხოვრებაში რამე შესანიშნავი მოვლენა ან ერთისა და ან რამოდენისამე პირის მოქმედებით მოხდება; მწერალი გამოიყვანს ამ პირებს სურათში და ამოქმედებს იმათ იმათის ბუნებისამებრ: მაყურებელი კი, ამ სურათის წარმოდგენაზედ ხედავს თავისავე საკუთარს მოქმედების სახეს და, თუ უმზგავსოა ეს მოქმედება, რცხვენიან თავის თავისა. ამ სახეს მწერლობისას ეწოდება დრამატიკური თხზულება და იმას გამოჰყავს კარგი და ცუდი მხარე კაცისა. ეს მხარე აშკარათ ჩნდება სცენაზედ ცოცხალის პირების მოქმედებაში. ამ პირებს ეწოდება აკტორები და მოქმედებენ იმიტომ, რომ მაყურებელს ცხადათ დაანახვონ იმისივე საკუთარი მოქმედება. კომედია, რომელშიაც კაცის შეუფერებელი თვისება არის გაკიცხული, ეკუთვნის დრამატიკურს ხელოვნებას. ახლა თვით მკითხველსაც შეუძლიან ამ გვარათ დასკვნას: — დრამატიკური ხელოვნება შეიცავს ცხოვრების აზრს და იმის სახეს, რომელიც თვით კაცის მოქმედებაში სცენაზედ იხედება.

როგორც ზევითა ვსთქვით, ხელმწიფე ითვლება. ხელმწიფე ნიშნავს მინისტრებს, რომელნიც მართვენ სახელმწიფოს. როცა საჭიროა ახალი სამინისტროს შედგენა, ხელმწიფე მოუწოდებს ერთს პირს, რომელსაც გავლენა აქვს პარლამენტში და მისცემს მას წინადადებას, რომ სამინისტრო შეადგინოს. ეს პირი მოილაპარაკებს პარლამენტის თავ-კაცებთან და თუ დაატყო, რომ ამათგანი ბევრნი თანახმანი იქმნებიან იმასთან იმსახურონ და პარლამენტის მეტი ნაწილი იმისი წინააღმდეგი არ არის, მაშინ იკისრებს სამინისტროს შედგენას. ერთის მინისტრის თანამდებობას თვითონ აიღებს და ამასთანავე შეიქმნება პირველი ან თავი-მინისტრი და სხვა მინისტრების თანამდებობას იმათ მისცემს, ვისაც პარლამენტში გავლენა აქვს, იმ განზრახვით, რომ მომატებული რიცხვი დეპუტატებისა მიიმხროს. ყველა მინისტრები შეადგენენ კაბინეტს, რომელსაც პირველი მინისტრის სახელი ეძლევა. მაგალითად, ახლა ანგლიაში პირველ მინისტრად ლორდი როსსელია და ამისგამო ახლანდელს სამინისტროს როსსელის სამინისტრო ჰქვიან.

თუმცა მინისტრებს ხელმწიფე ნიშნავს, მაგრამ ისინი მაინც პარლამენტზედ არიან დამოკიდებულნი. პარლამენტს შეუძლიან ყოველთვისმოსთხოვოს იმათ ანგარიში მმართველობაში; ისინი არიან პასუხის მგებელნი ყოვლის მმართებლობის მოქმედებაში. თუ რამე დააშავეს, პარლამენტს შეუძლიან ისინი სამართალში მისცეს; თუ პარლამენტს არ მოსწონს იმათი მართვა და საქმობა, გამოაცხადებს, რომ სახელმწიფოს არა აქვსო ნდობა და რწმუნება მინისტრებზედ და ამის შემდგომ მინისტრები სამსახურიდგან უნდა გამოვიდნენ. მინისტრები თავიანთს ადგილზედ ვერ დამყარდებიან, თუ პარლამენტის წევრებთაგან უმეტესს ნაწილს იმათი მხარე არ უჭირავს.

რასაკვირველია შესაძლებელი არ არის, რომ ყველა პარლამენტის წევრები ერთის აზრისა და მიმართულებისა იყვნენ. როგორათაც სახელმწიფოში არსებობენ პარტიები, ისე ხალხის წარმომადგენელებშიაც. პარლამენტის წევრმა უნდა იმოქმედოს იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელმაც ამოირჩია თავისს წარმომადგენელად და ამისგამო იმას უნდა ჰქონდეს თავის მოქმედების პროგრამმა. ერთის მიმართულების წევრები შეერთდებიან ხოლმე, შეადგენენ ერთს პარტიას და ერთად ცდილობენ თავისის პროგრამმის ასრულებას. თუ ცოტა რამე განსხვავება იმათს პროგრამმაში, ერთი ერთმანეთს უთმობენ, რომ უფრო გაძლიერდეს თავისი პარტია. ამ ნაირად პარლამენტში რამდენიმე პარტია შესდგება, მაგრამ თავი პარტიები თითქმის ყოველთვის ორია. ასე ანგლიის პარლამენტში ორი დიდი პარტია არის: ერთი ტორებისა და მეორე ვიგებისა. ტორები კონსერვატორები არიან, ე. ი. უნდათ დაიცვან შეუცვლელად ძველი ანგლიის კონსტიტუცია და ამისთვის არ უნდათ, რომ იმაში რამე საფუძვლიანი ცვლილება მოხდეს. ვიგები—ზომიერი პროგრესისტები არიან. ისინი წინააღმდეგნი არ არიან, რომ კონსტიტუციაში მცირე ცვლილება მოხდეს, მაგრამ ძირი-ცვლილება არც იმათ უნდათ. ამ უკანასკნელს დროში ანგლიის ქვემო პარლამენტში გაძლიერდა რადიკალების პარტია, რომელთაც უნდათ მოახდინონ კონსტიტუციაში ძირი-ცვლილება.—მცირე პარტიები ხან ერთს დიდს პარტიას მიემხრებიან და ხან მეორეს. ეს იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რომელთან უფრო ახლოს არიან თავის მიმართულებით, ან რომელი პარტია მეტს შემწეობას აღუთქვამს იმათის პროგრამმის აღსრულებაში. თვითოეული ამ პარტიებთაგანი იმას ცდილობს, რომ ხელში ჩაიგდოს მმართებლობის უფლება, ე. ი. მინისტრებათ თავის პარტიის კაცები და-

...

ანის-ძიებით ც... მიილოს ეს პრ... ალებენ მოჩაწ... ანთის პარტი... პარტიების შე... ლამენტის ბაასს დ...

ველია ყველანი ერთად არ დაიწყებენ ყვირილს, როგორც ჩვენში კენჭის ყრის დროს მოხდება ხოლმე. პარლამენტის წევრებს რიგით ეძლევათ სიტყვის წარმოთქმის ნება. ამისთვის პარლამენტი ამოირჩევს ხოლმე პრეზიდენტს (*), რომლის ვალდებულებაა წესის დაცვა დეპუტატთ შეყრილობაში. პრეზიდენტი რიგით აძლევს დეპუტატებს სიტყვის წარმოთქმის ნებას; თუ ვინმე იმათგანი ურიგოთ მოიქცა, შენიშვნას მისცემს და სიტყვასაც წაართმევს; თუ ვინიცობაა დეპუტატები ისე გაცხარდნენ, რომ პარლამენტში არეულობა და უწესოება მოხდა, პრეზიდენტს ნება აქვს იმ ჟამათ შეყრილობა დაშალოს და სხვა დრო დანიშნოს დეპუტატების შესაკრებლად.

მინისტრების პარტიის და ოპპოზიციის შორის განუწყვეტელი ბრძოლაა. ოპპოზიცია ცდილობს გადმოაგდოს ადგილიდამ მინისტ-

...

ყანას თვითონ ხალხი მართავს.

კონსტიტუციურს სახელმწიფოებში მინისტრები პარლამენტს აძლევენ ანგარიშს სახელმწიფოს შემოსავლის ხარჯში, წარუდგენენ დასამტკიცებლად მომავალის წლის შემოსავალ-გასავლის გაწერას, სთხოვენ დეპუტატებს ნება-რთვას ახალის გადასახადის დადებაზედ, ან ძველის მოსპობაზედ, ჯარის მოკრეფაზედ, ომის დაწყებაზედ, ახალის კანონის დაწესებაზედ და ძველის მოსპობაზედ, ერთის სიტყვით მინისტრებმა ე. ი. მმართებლობამ უნდა მოსთხოვოს ხალხის წარმომადგენელს დეპუტატებს ნება-რთვა ყოველს საქმეზედ, რომელიც კი შეეხება ხალხის საჭიროებას და სარგებლობას.

---

(*) ანგლიაში ქვემო პალატის პრეზიდენტს სპიკერს ეძახიან.

(*) სტენოგრაფი—ჩქრავალ-მწერალი. სტენოგრაფები სწერენ შემოკლებულის ნიშნებით. ისინი ისე დახელოვნებულნი არიან ჩქარა წერაში, რომ ასწრებენ წარმოსთქმულის სიტყვების ქაღალდზედ გადღებას, ასე რომ არც ერთს ლექს არ დასტოვებენ.

---

მიუნხენი, 15 (27) აპრილს. გუშინ გაიგზავნა ვენიდამ ავსტრიის პასუხი პრუსსიის ნოტაზედ, 9 (21) აპრილიდამ, ამ პასუხში ავსტრია გამოაცხადებს, ვითომც რომ მზათ იყოს შეაარაღებას თავი დაანებოს პრუსსიის წინააღმდეგ. იტალიის გამო კი ამბობს, რომ რადგანაც იტალია სამხედრო მზადებაში არის, ამისთვის ავსტრია იძულებულია მიიღოს სამხედრო ღონის-ძიება დასაცველად საზღვრისა და განსაკუთრებით ვრცელის ზღვის პირისა.

ვენა 15 (27) აპრილს. ავსტრიის აფიციალური გაზეთი იტალიის სამხედრო მზადებაზედ ასე ათავებს თავის სტატიას: ,, იტალიას ავსტრია პასუხის გასაცემათ და თავის დასაცველლათ მზათ დახვდებაო.‘‘

ბერლინი, 16 (28) აპრილს. გერმანიის გაზეთი ლაპარაკობს უკანასკნელს დიპლომატიურს მიწერ-მოწერაზედ და ამასთანაც გვაცნობებს, რომ ავსტრიას გულში ჩხუბის დაწყება აქვსო და იტალიის აღჭურვათ მიზეზათ გამოჰყავს, რომ თავისი შეიარაღება პრუსსიის წინააღმდეგ დაფაროსო.

ფლორენცია, 17 (29) აპრილს. ოფიციალური გაზეთი ამბობს, რომ იტალიის მინისტრების რჩევის პრეზიდენტმა ლამარმორამ იტალიის ელჩებს გაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც აცნობებს, რომ ავსტრიის სამხედრო მზადების გამო ვენეციაში იტალია უეჭველად გაამრიელებს თავისს არმიას, რომელიც აქამომდე მშვიდობიანურს მდგომარეობაში იყო.

პარიჟი, 17 (29) აპრილს. გაზეთი პრესსი სწერს: წარსულს შაბათს, ავსტრიის ელჩმა პარიჟში, კნ. მეტტერნიხმა დრუენ-დე-ლუისს გამოუცხადა, ვითომც ავსტრია თანახმა იყოს თავისის ჯარების დაშლისა ვენეციაში, თუ ფრანცია დაარწმუნებს, რომ იტალია ავსტრიის სამზღვრებს არ დაეცემა. რა პასუხი მისცა ამეზედ დრუენ-დე-ლუისმა არ ვიცით. პრესსის ფიქრით, ავსტრიას სურს ომიანობის აცილება.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი 27 აპრილს.

სჯულის-დამდების კორპუსის შეყრილობაში უ. ტიერი ამტკიცებდა, რომ ფრანციამ წინააღმდეგობა უნდა აღმოუჩინოსო გერმანიის ომს, რადგანაც ამას მოითხოვს იმის სარგებლობა; ამასთანავე იმან წარმოსთქვა, რომ ფრანციის მმართებლობამ ენერგიულათ უნდა მოილაპარაკოსო იტალიასთან, რომლის მონაწილეობაზედ გერმანიის ომში ბისმარკს დიდი იმედი აქვს. სახელმწიფო მინისტრმა რუემ ამაზედ დამამშვიდებელი პასუხი შემოიტანა და წაიკითხა იტალიის მმართებლობის დეპეშა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ის არ ფიქრობს ავსტრიას თავს დაეცეს, მაგრამ ამასთანავე ავსტრია, იტალია, პრუსსია და გერმანია ისე ომის მზადებაში არიან. პრუსსიამ მოძრაობაში მოიყვანა მთელი თავისი არმია.

25-ს აპრილს პრუსსიის მინისტრ-პრეზიდენტს გრაფს ბისმარკს მოკვლა დაუპირეს. ლონდონში მცხოვრების რესპუბლიკელის ბლანდის შვილმა რამდენჯერმე ესროლა დამბაჩა მინისტრს, მაგრამ დააცილა. დამნაშავე თვითონ ბისმარკმა დაიჭირა.

---

## ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. გ. და სახელძღვანელოთ მიღებული საქართველოში ყოველს საერო და სასულიერო სასწავლებლებში, ისყიდება: ტფილისში მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ტერ-მიქელიანცის წიგნების მაღაზიაში და სემინარიის სახლში იაკობ გოგებაშვილისას; ქუთაისში—სასულიერო სასწავლებელში, გერასიმე კალანდარიშვილისას, გორში—სასულიერო სასწავლებელში, იოსებ ლაშაურისას, სიღნაღში ბლაღოჩინის ღამბაროვისას; თელავში თ. ბიორგი ჩიქოვანისას. ფასი ერთი აბაზი.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го мая. 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.